მე-6 კლასი

ძირითადი დავალებები *(50 ქულა)*

1. მოცემულია რიცხვები: 70; 36; 26; 91. დაალაგეთ ისინი კლებადობის მიხედვით *(4 ქულა)*

   A) 70; 36; 91; 26 B) 91; 70; 36; 26 C) 36; 26; 91; 70

2. იპოვეთ გაფერადებული ფიგურების პერიმეტრების ჯამი: *(4 ქულა)*



   A) 37 B) 32 C) 36

3. რა ციფრით ბოლოვდება მოცემული გამოსახულება? *(4 ქულა)*

$$27 * (12 * 14 * 16 * 18 - 11 * 13 * 15 * 17) * 10$$

   A) 2 B) 0 C) 1

4. ზებრას X ზოლი აქვს. ზებრის ზოლების რაოდენობას თუ გავამრავლებთ 7-ზე და დავამატებთ 24-ს მივიღებთ 150-ს. რამდენი ზოლი აქვს ზებრას? *(5 ქულა)*

   A) 24 B) 18 C) 12

5. დაფაზე წერია რამდენიმე რიცხვი, რომელთა ჯამი 120-ის ტოლია. თუ თითოეულს 3-ით შევამცირებთ, ჯამი 96 გახდება. რამდენი რიცხვი წერია დაფაზე? *(5 ქულა)*

   A) 8 B) 24 C) 6

6. ნიკას ოთახს მართკუთხედის ფორმა აქვს, რომლის სიგრძე ორჯერ მეტია სიგანეზე. ანას ოთახს კვადრატის ფორმა აქვს, რომლის გვერდის სიგრძე 3-ჯერ აღემატება ნიკუშას ოთახის სიგანეს. რამდენჯერ მეტია ანას ოთახის პერიმეტრი ნიკას ოთახის პერიმეტრზე? *(5 ქულა)*

   A) 2-ჯერ B) 3-ჯერ C) ტოლია

7. ხაჭაპურის ფასი პიცის ფასის 75%-ს შეადგენს. რა ღირს 2 ხაჭაპური და 1 პიცა, თუ პიცა 20 ლარი ღირს? *(5 ქულა)*

   A) 55 ლარი B) 50 ლარი C) 60 ლარი

8. რა დროს აჩვენებს ახლა საათი, რომელიც 1 საათით ჩამორჩება, თუ შუადღის 12 საათის (სწორი საათით) შემდეგ გასულია დღე-ღამის $\frac{7}{16}$ ნაწილი? *(6 ქულა)*

   A) 22სთ 30წთ B) 23სთ 30წთ C) 21სთ 30წთ

9. სულ მცირე რამდენი ადამიანი უნდა ავარჩიოთ, რომ მათ შორის 3-ს მაინც ჰქონდეს ერთსა და იმავე თვეში დაბადების დღე? *(6 ქულა)*

   A) 15 B) 24 C) 25

10. იპოვეთ მინიმუმ და მაქსიმუმ რამდენი საერთო წვერო შეიძლება ჰქონდეს 3 ერთნაირ სამკუთხედს (მინიმუმში იგულისხმება საერთო წვეროების 0-ზე მეტი უმცირესი ოდენობა) *(6 ქულა)*

    A) 3 B) 4 C) 2

ბონუს დავალებები *(8 ქულა)* - კითხვები ფინანსური განათლებიდან

ტესტის მაქსიმალური ქულაა 50. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

1. ჩამოთვლილთაგან, რომელია არააუცილებელი ხარჯი? *(4 ქულა)*

   A) კონცერტის ბილეთების შეძენა B) საკვების და ტანსაცმლის შეძენა C) სასკოლო წიგნების შეძენა

2. სანდროს ყოველდღიური ჯიბის ფული 6 ლარია, ხოლო წინა თვის დანაზოგი - 13 ლარი. სანდროს ყოველდღიური ხარჯებია: ტრანსპორტის 1 ლარი და 50 თეთრი, საკვებისა და სასმელის 3 ლარი, მობილური ტელეფონით სარგებლობის საფასური 50 თეთრი. თუკი სანდროს სურს სათამაშოს შეძენა, რომელიც 17 ლარი ღირს, რამდენ დღეში შეაგროვებს ის სათამაშოსთვის საჭირო ფულს? *(4 ქულა)*

   A) 4 დღე B) 5 დღე C) 6 დღე